# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20 (9.880)

8 – 15 ივნისი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## 13 ივნისი – ტრაგედია, რომელმაც შეძრა საქართველო




გვ. 2

## მირზაანში ქართულ და პოლონურ მხარეებს შორის შეხვედრა გაიმართა



გვ.3

## კახეთში კოღოების საწინააღმდეგო წამლობა დაიწყო



გვ.2

## ყურადღება!

### ამოქმედდა ახალი გრაფიკი წყალზე!

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრი გაცნობებთ, რომ ამოქმედდა წყალმომარაგების ახალი გრაფიკი, რომლის თანახმადაც წყლის მიწოდება შეეზღუდა აბონენტთა ნაწილს.

ქ. დედოფლისწყარო

**კენტ რიცხვებში** – აღმოსავლეთი ნაწილი – 6:30სთ-დან – 20:30სთ.

**ლუწ რიცხვებში** – დასავლეთი ნაწილი – 6:30სთ-დან – 20:30სთ.

სოფელი სამრეკლო

**კენტ რიცხვებში** – 12:00 — 15:00 სთ.

**ადგილობრივი ს/სადგურით ყოველ მეორე დღეს** 07:00 სთ-დან.

სოფელი ხორნაბუჯი

10:00სთ-14:00სთ.

**ქიზიყის I შესახვევი; თავისუფლების ქუჩა; მოსულიშვილის ქუჩა; მეგობრობის ქუჩა.**

14:00სთ-18:00სთ.

**ალმაშენებლის ქუჩა; ჭავჭავაძის ქუჩა; ჩოლოყაშვილის ქუჩა; ვაშლოვანის ქუჩა; გელოვანის ქუჩა; დუმბაძის ქუჩა; ბეჟანიშვილის ქუჩა.**

## თუ ხარ ძლიერი პროფესიონალი, მთელი ცხოვრება ხარ წარმატებული

გვ. 6




## კინო — ბორბლებზე

გვ. 4




## ახალბედა მოჭადრაკეთა კვალდაკვალ...

გვ.2



# 13 ივნისი - ტრაგედია, რომელმაც შეძრა საქართველო

13 ივნისი. თბილისი. ადიდებული მდინარე ვერე. დატბორილი ქუჩები, ორად გაყოფილი ქალაქი, აფორიაქებული და დაზაფრული ადამიანები, ზოოპარკის ბინადარნი...

ტრაგედიის შემდგომი სურათი- გარდაცვლილი და დაკარგული ადამიანები, დატბორილი სახლები, დახოცილი და ვოლიერებიდან ქალაქის ქუჩებში გამოქცეული გარეული ცხოველები. დაბნეული და შეშინებული დათვის ბელი ერთ-ერთი სახლის ფანჯარაზე და გმირთა მოედანზე მოსეირნე ბეჰემოტი ამ დღის სიმბოლოდ იქცა...

რა მოხდა 2015 წლის 13 ივნისს? მოხდა ის, რაც თბილისს არაერთხელ განუცდია 1960, 1961, 1972 და 1999 წლებში. 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქია კი, როდესაც მდინარე ვერემ ისევ აჩვენა თავისი ძალა და ადიდდა, ყველაზე ძლიერი და დამანგრეველი აღმოჩნდა ქალაქისთვის, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია. შედეგად, 200-ზე მეტი ოჯახი და 1000-ზე მეტი ადამიანი დაზარალდა. გარდაიცვალა 21 და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 2 ადამიანი. განადგურდა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, გზები, ხიდები, გვირაბები, საყრდენი კედლები, საკომუნიკაციო სისტემები. ყველაზე დიდი ზიანი თამარაშვილი - გმირთა მოედნის ტერიტორიას მიადგა. მთლიანად დაიტბორა „მზიურისა“ და ზოოპარკის ტერიტორია. სტიქიას ემსხვერპლა ზოოპარკის ბევრი ბინადარი. დაზარალდა ქალაქის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ესტაკადა, კოჯორი - სამადლოს დამაკავშირებელი გზა, ახალდაბა - წყნეთის გზის მონაკვეთი.

აღსანიშნავია, რომ 13 ივნისი მხოლოდ რამდენიმე ოჯახის ტრაგედია არ არის. ის მთელი ერის ტრაგედიად იქცა. ძნელია ადამიანის სიცოცხლის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებაზე საუბარი. ანდა, წერა. სიტყვები, ალბათ, ზედმეტიც იქნება ამის გამოსახატავად. ადამიანები მაშინაც სიტყვების ნაცვლად საქმეს აკეთებდნენ და თავიანთი ქმედებებით გამოხატავდნენ სათქმელს, ნებას, სურვილს დახმარების, გაერთიანების, აღდგენის, მოვლის. მთელმა ერმა შეძლო და გაერთიანდა, გაერთიანდა იმიტომ, რომ ეს ყველას შეეხო. ერმა შეძლო და ერთად დგომის მაგალითი აჩვენა. მაგალითი თავგანწირვის, შრომისმოყვარეობის, ადამიანური თანადგომის.




დიახ, 13 ივნისმა მთელი ერი გააერთიანა. თუმცა, ხანდახან, ადამიანმა უნდა მიიღოს ის, რაც მის წინ მთელი სიცხადით არის წარმოდგენილი. ამას ზოგი მწარე სიმართლეს უწოდებს, ზოგი რეალობას,ზოგისთვის კი ეს გარდაუვალი ფაქტებისა თუ მოვლენების მთელი წყებაა. სწორედ ამ სიცხადეში, ცხადად დავინახეთ ისიც, რომ ყველა ერთნაირად არ უდგება ერს დატეხილ ტკივილს - ხალხის ნაწილმა (რაოდენ გასაკვირი და გაუგებარიც უნდა იყოს), მომხდარი უბედურება ქილიკის სამიზნედ, თითის გაშვერის და საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების ობიექტად აქცია, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოება დღეს ძალიან მნიშვნელოვანია. იმ სევდანარევ სინამდვილეში, სადაც ვიღაცისთვის სიცოცხლემ აზრი დაკარგა, სადაც ძვირფას ადამიანებს გლოვობდნენ, მსგავსი ქმედებები მარტო გაუმართლებლად კი არ ითვლება, არამედ სცდება ადამიანობის ჩარჩოებს.

გარდა ამისა, საყურადღებოა იმ დღეს მედიის მუშაობაც. ყველაზე პრობლემატური, ტრაგედიის ღამეს ინფორმაციის არ არსებობა იყო, მანამ, სანამ სხვადასხვა ტელევიზიების გადამღები ჯგუფები ადგილზე მივიდოდნენ და ტელევიზიებისთვის ინფორმაციისა და კადრების მიწოდებას შეძლებდნენ. იმ დროს ყველანაირი მასალა სოციალური ქსელების მეშვეობით ვრცელდებოდა და ტელევიზიებიც ამას აქტიურად აქვეყნებდნენ. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი წყარო ფეისბუქი იყო. გადამღები ჯგუფების ადგილზე მისვლის შემდეგ, უკვე მათი მეშვეობით მოწმდებოდა სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია. იმ ღამეს სოციალურმა ქსელებმა ყველაზე კარგად იმუშავა. როგორც ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, ასევე გავრცელების მხრივაც. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ სოციალურ ქსელში ინფორმაციას რიგითი ადამიანები გადაუმოწმებლად აქვეყნებდნენ, აზიარებდნენ და ავრცელებდნენ, ფეისბუქი ხშირად დეზინფორმაციის წყაროც იყო. მაგალითად, ვრცელდებოდა სხვა ქვეყნებსა და სიტუაციაში გადაღებული ფოტოები, როგორ დასეირნობდა ლომი თუ ნიანგი ქუჩაში, ფოტოს მინაწერში კი 13 ივნისი იყო აღნიშნული. უცხოურმა მედიამ საქართველოში მომხდარ ტრაგედიაში აქცენტი ზოოპარკიდან გაქცეულ ჰიპოპოტამზე რომ გააკეთა, იმის ბრალია, რომ სხვა ამბებმა ქვეყნიდან ვერ გააღწია. იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა თბილისში, საქართველოდან თითქმის არავინ წერდა ტვიტერზე ინგლისურად. ტვიტერი ძალიან კარგი საშუალებაა ინფორმაციის საერთაშორისო მასშტაბით გასავრცელებლად, თუმცა, ამ რესურსს საქართველოში, რატომღაც, აქტიურად არ ვიყენებთ. არადა, ტვიტერი უკვე დიდი ხანია მსოფლიოში ინფორმაციის მიღების ყველაზე სწრაფ საშუალებად იქცა. ეს სოციალური ქსელი საშულებას იძლევა მოძებნო ბოლო ინფორმაცია სასურველი ან ყველაზე პოპულარული თემების შესახებ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის წყალდიდობისას, სოციალურმა მედიამ, ტრადიციულ მედიასთან შედარებით, უფრო სწრაფად და ოპერატიულად იმუშავა.

დიახ, საზოგადოება ნიჰილიზმს განიცდის, ეს შეიძლება გასაგები მიზეზებითაც აიხსნას, მაგრამ ყოველთვის გვექნება ერთი საერთო, რაც მიუხედავად ყველაფრისა, გაგვაერთიანებს. ჩვენთვის, უახლეს წარსულში, ასეთი დღე სწორედ 13 ივნისია - სამწუხარო, მძიმე და უსიტყვო სათქმელებით.

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

## კახეთში კოღოების საწინააღმდეგო წამლობა დაიწყო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კახეთის რეგიონში - სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში ტრანსმისიული დაავადებების გადამტანების - კოღოების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებები დაიწყო.

უწყების ინფორმაციით, დასახლებული პუნქტები საღამოს საათებში თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდება, ხოლო წყალსატევები და დაჭაობებული ადგილები (მწერების კვერცხდების ადგილები) ბიოლოგიური პრეპარატით, რომელიც უსაფრთხოა ადამიანებისთვის, ცხოველებისთვის, თევზებისთვის და გარემოსათვის. სულ 2000 ჰექტარზე მეტი ფართობი დამუშავდება. დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოსახლეობა წინასწარ იქნება ინფორმირებული.

დედოფლისწყაროში კოღოების საწინაარმდეგო წამლობა ალაზნისპირა სოფლებში განხორციელდება.

## ახალგაზრდა მოჭადრაკეთა კვალდაკვალ...

1-2 ივნისს თელავში რეგიონალური ტურნირი ჩატარდა ჭადრაკში, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მალე საერთათაშორისო დონის ტურნირად უნდა გადაკეთდეს. მასში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი რაიონის ახალბედა მოჭადრაკეებიილია ტოკლიკიშვილი, გიორგი გველუკაშვილი, დეა ბოსტოღანაშვილი და სალომე ჩხაიძე. როგორც მათი პედაგოგი გოგი კიკილაშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რეალურად პირველად მოხდა ჩვენი რაიონის ისტორიაში, რომ ასეთი დონის ტურნირში შეძლეს ჩვენმა ბავშვებმა მონაწილეობა, რის გამოც კმაყოფილებას გამოხატავს იგი. —„მე მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ბავშვებმა იქ თამაშის ხარისხით უკვე მოაწონეს ჩამოსულ დიდოსტატებს თავი და იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალში დედოფლისწყაროს საზოგადოება მეტ ყურადღებას დაუთმობს ბავშვების ინტელექტუალურ თამაშებს და მათ შორის ლიდერს, ჭადრაკს.“



## მხიარული სტარტები

6 ივნისს დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაღის 3-4 წლიანთა ჯგუფში პედაგოგმა ნანა სეხნიაშვილმა მიგვიწვია „მხიარულ სტარტებზე“. ღონისძიებაში ერთობლივად იყვნენ ჩართულნი, როგორც აღსაზრდელები, ასევე მათი დედები. ღონისძიების მიზანი მშობლების ჩართულობა და აღსაზრდელებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება იყო. „მერცხლებისა“ და „მტრედების“ გუნდები ჯგუფის აღმზრდელების, აღსაზრდელებისა და მშობლებისგან დაკომპლექტდა. სპორტული შეჯიბრი ყველასთვის საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა. პატარებმა “ასკინკილათი“ დაიწყეს, მას მოჰყვა“ რგოლებში ჩახტომა“, „გრძელ სკამზე ცოცვა“,“ ბურთი ფარში“ და ეს ყველაფერი სხვადასხვა ჯგუფის აღსაზრდელთა გამამახნევებელი შეძახილების ფონზე მიმდინარეობდა. ბავშვთა პაექრობა გუნდებს შორის ფრედ დასრულდა. მშობლების შეჯიბრიც არანაკლებ სახალისო სანახავი იყო. დედიკოებმა ჯერ თოკების გადაწევაში მოსინჯეს ძალები, შემდეგ ტომარებით ხტომაში არ ჩამოუგდეს ერთმანეთს ტოლი და ბოლოს რიტმული ცეკვისას ყველაზე სწრაფად სკამებზე დაჯდომაშიც შეეჯიბრნენ ერთმანეთს. მათი საბოლოო შედეგიც ფრედ დამთავრდა, მაგრამ „მხიარული სტარტები“ იმაზე მხიარულად წარიმართა, ვიდრე წარმოგვედგინა. ნანა მასწავლებელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ „ბაღის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღსაზრდელთა წარმატებისთვის. როგორიც არ უნდა იყოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მშობლის მონაწილეობა შვილის სწავლა-აღზრდის პროცესში მის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს. უამრავი კვლევების თანახმად, პატარები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ, როგორც აკადემიური მოსწრების კუთხით, ისე პოზიტიური, კეთილგანწყობილი ქცევებით, თვითშეფასების რწმენით..“



სპორტულ ასპარეზობაში აქტიურად იყო ჩართული აღმზრდელის თანაშემწე ხათუნა მენთეშაშვილი, ხოლო ფორტეპიანოსთან მუსიკალურ ფონს აძლევდა მუსიკის მასწავლებელი ხათუნა ჯანაშვილი. დასასრულს, ბაღის გამგემ მაია გონაშვილმა სიგელებით და სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვა თითოეული მონაწილე ბავშვი, ხოლო სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორმა მაია ყოჩიაშვილმა მადლობა გადაუხადა ბავშვებს და მშობლებს ასეთ საინტერესო და სახალისო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის.

P.S. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ღონისძიების მსვლელობისას მოულოდნელად საბავშვო ბაღს სურსათის უვნებლობის სამსახურის მონიტორინგის ჯგუფი ეწვია შემოწმებაზე. მათ დაათვალიერეს სამზარეულოში და ჯგუფებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და გასვლისას, კმაყოფილები ბაღში არსებული სისუფთავისა და ყველა სტანდარტის დაცვის გამო, თეთრ ხალათებსა და ქუდებში გამოწყობილ სამზრეულოს თანამშრომლებს ასეთი მითითებით დაემშვიდობნენ: ყოჩაღ თქვენ, ასე გააგრძელეთო.



ელზა ხარაშვილი



# მირზაანში ქართულ და პოლონურ მხარეებს შორის შეხვედრა გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად პოლონეთის მალბორკის პოვიატის რადის სტაროსტას (იგივეა, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური) მიროსლავ ჩაპლას უმასპინძლა. პოლონურ და ქართულ მხარეს შორის შეხვედრა სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში შედგა და მას სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი, გიორგი გოგილაშვილიც ესწრებოდა. შეხვედრაზე დედოფლისწყაროს და მალბორკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა შემდგომი თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.

შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა და პოლონეთის ქალაქ კვინზინს, ქალაქ მალბორკსა და მალბორკის რაიონს შორის, ორმხრივი სარგებლობისა და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, გაფორმებულია მემორანდუმი და მხარეები აქტიურ რეჟიმში თანამშრომლობენ.



# სომხეთის ელჩი დედოფლისწყაროს სტუმრობდა



სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რუბენ სადოიანი კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულთან, ირაკლი ქადაგიშვილთან , დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოს ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში ელჩი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემებით დაინტერესდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობის უმთავრეს პრობლემებს სოფელში საბავშვო ბაღის არარსებობა, სოფელთან მისასვლელი გზა და ზამთარში შეშის დეფიციტი წარმოადგენს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, სამივე პრობლემის მოგვარება დაწყებულია . უახლოეს მომავალში აშენდება საბავშო ბაგა-ბაღი და შევა ბუნებრივი აირი, სოფელთან მისასვლელი შიდა საავტომობილო გზის მშენებლობაც ახლო მომავალში იგეგმება.

# როდის გაიხსნება თუშეთისკენ მიმავალი გზა?

თუშეთისკენ მიმავალი გზა ყოველ წელს მაისის შუა რიცხვებიდან იხსნებოდა, თუმცა, წელს ასე არ მოხდა. გზის 56-ე კილომეტრზე მეწყრული პროცესების გააქტიურების გამო ხელოვნური ტბა წარმოიქმნა, რომელსაც 600 მეტრამდე სიგრძის საავტომობილო გზა წყლით აქვს დაფარული.

ადგილზე გაწმენდითი სამუშაოები თითქმის დასრულებული იყო, მაგრამ ბოლო დროის ძლიერი წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარე სტორმა 10 მაისს გზის მონაკვეთი კვლავ დააზიანა. თუშეთისკენ მიმავალ გზაზე დაწესებული შეზღუდვა განსაკუთრებით ადგილობრივებსა და რეგიონში მცხოვრებ მესაქონლეებს აწუხებთ.

მწყემსებს ცხვარი და საქონელი მთაში ვერ მიჰყავთ, ადგილობრივები კი, ვისაც სასტუმრო ბიზნესი აქვს, ტურისტებს ვერ იღებენ.

სწორედ ამის გამო ხმაური იყო დღეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სადაც სხდომაზე დასასწრებად სამი სოფლის - ზემო და ქვემო ალვნის, ასევე ლალისყურის - მოსახლეობა მივიდა. საკრებულოს სხდომა ჩაიშალა. მოსახლეობა ითხოვდა, რომ საკრებულოს განეხილა ფშაველი-აბანო-ომალოს გზაზე შექმნილი პრობლემა, ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნანა ყეინიშვილმა კი განაცხადა, თუშეთის გზაზე არსებული სიტუაციის შესასწავლად და შესაფასებლად საგზაო დეპარტამენტი ადგილზე მუშაობსო. თუშები ამბობენ, რომ „შესაბამისი სამსახურები კარგად რომ მუშაობდნენ, მეწყერის ჩამოშლის შედეგად წარმოქმნილი ტბა დამშრალი იქნებოდა და დაზიანებული გზები – შეკეთებული“.

ახმეტის საკრებულოში მისვლამდე ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. მათი ინფორმაციით, უკვე რამდენიმე წელია, ფშაველი-აბანო-ომალოს გზის 56-ე კილომეტრზე პრობლემებია, შესაბამისი უწყებები კი არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გეგმა შემუშავდეს და პრობლემა მოგვარდეს. მოსახლეობის ნაწილის თქმით, წყლის ამოსაღებად სამუშაოების დაწყება რაც უფრო გვიანდება, დატბორილი ტერიტორია კიდევ უფრო ფართოვდება. ამ დრომდე ტბაში ტრანსპორტი ვერ გადაადგილდება.

„ორი კვირის უკან რომ მივიდნენ, გეოლოგებს დაკვირვება მაშინ უნდა ჩაეტარებინათ და ასე აღარ იქნებოდა. ახლა იძახიან, დაკვირვებას ვიწყებთო... ჩვენ რა გვეშველება?“, - განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს იზიარებს და სამართლიანად მიიჩნევს ახმეტის საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ შაქრო ტერტერაშვილი. ის ამბობს, რომ მმართველი გუნდის წარმომადგენლებს პრობლემის გადასაჭრელად ამ დრომდე ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

აქციის მონაწილეებს შეხვდა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გივი მეტრეველი, რომელმაც თქვა:

„არ შეიძლება რომ მოსახლეობის მოთხოვნით და რაღაც სხვადასხვა გადაწყვეტილებების გამო გაიხსნას ეს გზა, იმიტომ რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო უარესი შედეგები“.

მეტრეველი იმასაც ამბობს, რომ „გეოლოგებს დავალება მიცემული აქვთ და საკითხს სწავლობს საგზაო დეპარტამენტი“.

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ამ თემაზე სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენლები ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კილომეტრზე მეწყრული მოვლენების შედეგად წარმოშობილ ტბასთან არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ და პრობლემების გადაჭრის გზებს დასახავენ, თუმცა, ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფოს ვერც ერთი უწყება გადაჭრით ვერ ეუბნება, როდის გაიხსნება თუშეთისკენ მიმავალი გზა. თუშებმა კი განაცხადეს, რომ მთავრობას სამდღიან ვადას აძლევენ და თუ პრობლემა ვერ მოგვარდა, გზას თავადვე გახსნიან.





# სუფთა და ლამაზ სამყაროსთან დამეგობრებული თაობა

*1 ივნისს, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა. საექსპოზიციო დარბაზში გამოფენილი ნამუშევრების ავტორები მუზეუმთან არსებული ხელგარჯილობის წრეში გაერთიანებული ბავშვები იყვნენ. გამოფენის ექსპონატებს შორის იყო ნახატები, სხვადასხვა თემატიკის აპლიკაციები, თიხისა და თაბაშირის ნაძერწი ნაკეთობები. თითოეულ ნამუშევარში ნათლად ჩანდა ფაქიზი დამოკიდებულება და დიდი სიყვარული ხელოვნებისადმი.*

ხელგარჯილობის წრის ხელმძღვანელი, პროფესიით ხატმწერი და რესტავრატორი, მაყვალა ბოჭორიშვილია. დიდი სიყვარულითა და სითბოთი საუბრობს იგი თავის პროფესიაზე, ბავშვობიდანაა ხელოვნებასთან წილნაყარი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, მოხატული აქვს შიომღვიმის მიდამოებში არსებული ბაზილიკა, თამარ მეფის ფრესკა და დაწერილი აქვს ღვთისმშობლის ხატი. ვუსმენდი და ვფიქრობდი, რა თქმა უნდა, დიდი ნიჭია საჭირო ეს ყველაფერი რომ შეძლო ადამიანმა, მაგრამ, ამასთანავე, რამხელა მადლი და ღვთის წყალობაა-მეთქი! ხელოვნებისადმი დიდ სიყვარულს ახლა იგი მომავალ თაობას გადასცემს. ხელოვნებაზე საუბრისას ქალბატონი მაყვალა მიხსნის, რომ **ხატვა-ფერწერა ამდიდრებს მოზარდის სულიერ სამყაროს, ავითარებს ფანტაზიას, წარმოსახვით უნარებს. ხატვის დროს, ბავშვში ყალიბდება ესთეტიკური გემოვნება, ვითარდება მხედველობითი აღქმა, მეხსიერება. ბავშვი ეცნობა ფორმებს, მიმართულებებს, ზომებს, გარემოს, ცხოველებს, მცენარეებს, უვითარდება ფანტაზია, ცნობიერება, ესთეტიური აღქმა, ემოციები, უღვივდება ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, ნებისყოფა.** სწავლობს, რომ დაისახოს და შეასრულოს ამოცანები. მიიყვანოს ბოლომდე დაწყებული საქმე, დაასრულოს ნამუშევარი. სწავლობს განწყობით მუშაობას. ქალბატონი მაყვალას თქმით, არანაკლებ მნიშვნელო-



**ვანია, ბავშვმა შემოქმედებით პროცესში სიხარული და თვითკმაყოფილებაც განიცადოს. გარდა ამისა, საუბრისას აღინიშნა, რომ ძერწვის დროს ბავშვს ორი ხელით მუშაობის უნარ-ჩვევები და მოძრაობის კოორდინაცია, სივრცული აზროვნებაც უყალიბდება. ხდება მოტორიკის განვითარება, რაც ააქტიურებს ადამიანის აზროვნებასა და მეტყველებას. ძერწვა დადებითად მოქმედებს ბავშვის ნერვულ სისტემაზეც. „ძერწვასთან ერთად, ბავშვები საკუთარი ხელით ქმნიან თოჯინებს, რომლებიც შემდეგ ისე უყვარდებათ, თითქოს ცოცხალი არსებები იყვნენ“** - ამბობს ქალბატონი მაყვალა.

მუზეუმში რესტავრატორად მუშაობის პერიოდში, ძალიან მოსწონდა ბავშვებთან ურთიერთობა, ამიტომ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ხელახლა გახსნა ხელგარჯილობის წრე. თავიდან საკუთარი მასალით ასწავლიდა ბავშვებს, ახლა, დაინტერესებული მოსწავლეები, საკუთარი მასალით ცდილობენ მათთვის საინტერესო თემებზე მუშაობას. წრეში გაერთიანებულნი არიან ბავშვები 4 წლიდან. თხუთმეტამდე მოსწავლე ეუფლება ხელგარჯილობას, ზაფხულის არდადეგების დროს კი მათი რიცხვი უფრო იზრდება, რასაც ხელს უწყობს მეტი თავისუფალი დრო, გაზრდილი ინტერესი და საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენის სურვილი. ბავშვებს უამრავი საინტერესო მასალა აქვთ დაგროვილი და ხშირად მართავენ გამოფენებს. საკუთარ შვილიშვილს, გიორგი ბოჭორიშვილს, რომელიც 4 წლის ასაკიდანაა ხელოვნებით დაინტერესებული, შექმნილი აქვს ბევრი საინტერესო მასალა და მისი გამოფენები დიდი ინტერესითა და მოწონებით სარგებლობს. ალექსანდრე, დემეტრე, ელენე, კესო და სხვები, მუდამ დიდი სიყვარულითა და მონდომებით მუშაობენ. მათი ნამუშევრებიდან აშკარად მოდის ის დიდი სითბო, რასაც ბავშვური სიყვარულით სავსე გულით გადმოსცემენ. ლამაზია მათი ფერადი სამყარო. ისინი არიან ბავშვები, რომლებიც ადრეული ასაკიდან ეზიარნენ ხელოვნების სილამაზეს.

 აი, ასეთ, სუფთა და ლამაზ სამყაროს აზიარებს მაყვალა ბოჭორიშვილი ჩვენს მომავალ თაობას. მისი მიზანია, ხელოვნებით დაინტერესებულ ყველა ბავშვს დაანახოს ხელოვნების სილამაზე და შეაყვაროს იგი. აჩვენოს, თუ რაოდენ სიღრმისეული და მრავალფეროვანია ხელოვნება, სადაც მათი ოცნებები ნათელი და ძვირფასი ხდება. ***ჩვენ ყველას გვაქვს ოცნებები, მათ ხან ვაცნობიერებთ, ხან-ვერა. მხატვრობა და ხელოვნების სხვა დარგები კი ეხმარება ადამიანს მის გათვითცნობიერებაში. ეს ხდება ფანტაზიის, ფერის, ფორმის მეშვეობით. ხელოვნება იყო, არის და რჩება ბავშვის აღზრდის უნივერსალურ საშუალებად. დიდია ქალბატონ მაყვალას დამსახურება იმ პატარების წინაშე, ვინც მისი შრომითა და დიდი მცდელობის შედეგად ეზიარა ხელოვნებას ხელგარჯილობის წრის საშუალებით. ულრმესი მადლობა მას ამ შრომისთვის, რადგან ბავშვის აღზრდა-ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი უკავია პატარის ინტერესსა და მისწრაფებებს. შეიძლება არც ერთი მათგანი არ გახდეს მხატვარი ან მოქანდაკე, მაგრამ რა პროფესიაც უნდა აირჩიონ მათ მომავალში, ყოველთვის დარჩებიან გემოვნებიან, დახვეწილ, ხელოვნების შემფასებელ და დამფასებელ პიროვნებებად.***



ხათუნა ბენაშვილი

# კინო — ბორბლებზე




**რა ხდება მაშინ, როდესაც ვერ მიდიხარ კინოში? ამაზე სინემანიამ და Adjaranet.com-მა ბევრი იფიქრეს და გადაწყვიტეს, რომ ასეთ დროს, თავად კინო უნდა მიდიოდეს ადამიანებთან! სწორედ ამიტომ, კინოთეატრი ბორბლებზე შექმნეს და მთელი საქართველოს გარშემო მოგზაურობა დაგეგმეს.**

„გვინდა, რომ ფილმები ვაჩვენოთ ყველა რეგიონში და ჩვენი მიზანიც სწორედ ის არის, რომ კინო რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს და შეიყვაროს, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებმა, ვისთანაც კინოთეატრი არ არის.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ზაფხულის ცხელი დღეები რთული გადასაგორებელია, კინო კი ყოველთვის კარგი გამოსავალია — წარმოიდგინეთ, ღია ცის ქვეშ, კომფორტულ გარემოში, შვილებთან, მშობლებთან და მეგობრებთან ერთად, თემატურად შერჩეული ფილმის ყურება დროის გაყვანის რა კარგი საშუალებაა.

თქვენ შეძლებთ ნახოთ ქართული, აუცილებლად სანახავი ფილმები, ცნობილი ბლოკბასტერები და 2018-2019 წლის უახლესი ფილმები, კინოჩვენებამდე კი ქვიზებით გაერთოთ, ჩაერთოთ გათამაშებებში და მოიგოთ პრიზები — მგონი, სრულიად საკმარისი ჩამონათვალია იმისთვის, რომ საღამოს დრო იდეალურად გაატაროთ“-აცხადებენ იდეის ორგანიზატორები.

სინემანიას და აჭარანეტს ხელი Finca Bank-მაც ჩასჭიდა და სამივე ერთად, მოძრავი კინოთეატრის საშუალებით, რამდენიმე თვის განმავლობაში მოივლის საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, კინო ჩამოვა ყველგან და ყველასთან, იმიტომ, რომ კინო ყველგან და ყველასია!

ყვითელი, სხვადასხვა ფერებითა და ნახატებით აჭრელებული ავტობუსი დედოფლისწყაროს ეწვია და ორი დღის მანძილზე ღია ცის ქვეშ სასურველ ფილმებს აჩვენებდა აქაურ კინომოყვარულებს. როგორც ორგანიზატორები განმარტავენ, „კინობასმა“ სტარტი საგარეჯოდან აიღო, მოძრავი კინოს პროექტი 5 თვის განმავლობაში გაგრძელდება და 11 რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს. მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ კინოსეანსი ღია ცის ქვეშ, ეზოში უნდა გაიმართოს, თუმცა, როცა ამინდი ხელს უშლის, ჩვენება დარბაზშიც იმართება.

**„კინო-ბორბლებზე, მოსიარულე ავტობუსი კინოს პოპულარიზაციისთვის შევქმენით. მრავალი წელია, ფილმების ქართულ ენაზე დუბლირებასა და მისი ინტერნეტში განთავსებაზე ვმუშაობთ, მაგრამ გვინდოდა, ისეთი რეგიონებიც მოგვეცვა, სადაც ინტერნეტი არ არის. გვინდოდა, რეგიონების მაცხოვრებლებისთვის კარგი საღამო გვეჩუქებინა და კინომოყვარულები გაგვენებივრებინა. მოვიარეთ მთელი კახეთი და დედოფლისწყაროში წნორიდან შემოვედით, აქედან გურჯაანში გადავინაცვლებთ და ამით ვასრულებთ კახეთში მოგზაურობას.** შემდეგ მცხეთა-თიანეთს და ქვემო ქართლს ვეწვევით. ენთუზიაზმი დიდი გვაქვს და საპასუხო რეაქციებმაც არ დააყოვნა. **„კინობასიც“ ვიზუალურად ისეთია, ყურადღებას ვიქცევთ, მარკეტინგული გათვლა იყო ასეთი, რომ ფერადი და უნიკალური ავტობუსი ყოფილიყო, რათა ეფექტი მოეხდინა. წარმოუდგენლად დიდი ადამიანური რესურსი ჩავდეთ, მართლა ძალიან მოვინდომეთ. საქართველოში ვერ ვიშოვეთ ამ მარკის ავტობუსი, ისეთ კარგ მდგომარეობაში, რომ მისი კოსმეტიკურად გალამაზების შემდეგ 6 თვის განმავლობაში ყველა რეგიონში მოგზაურობა ყოფილიყო შესაძლებელი. ამდენად, ბევრი ძებნის შემდეგ ავტობუსს ერევანში მივაკვლიეთ და სწორედ იქ შევიძინეთ, ჩამოვიყვანეთ, შევლებეთ და საქმეს შევუდექით...** როგორც ჩანს, ჩანაფიქრმა გაამართლა და ბევრი ინტერესდება, გზაზე გვაჩერებენ, ყველგან ფოტოებს იღებენ და უამრავ კითხვას გვისვამენ“. - ამბობს **პროექტის მენეჯერი** თორნიკე თავხელიძე

როგორც დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრში განმარტავენ, რამდენიმე წლის წინ დედოფლისწყაროში იყო კინოთეატრის შექმნის მცდელობა, თუმცა მაყურებლის მხრიდან სათანადო დაინტერესება არ იყო. ცენტრის დირექტორი ილია მარტყოფლიშვილი ამბობს, რომ წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, იყო მოლოდინი, რომ მაყურებელი არც ამჯერად მოვიდოდა, თუმცა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა.

**„დიდი ხანია, მოიშალა კინოში სიარულის ტრადიცია. პირველად, 30 წლის წინ, დედოფლისწყაროს კინოთეატრში „სპირალის“ სეანსებს ვესწრებოდი და იქ სტუმრობა ემოციური იყო ჩემთვის. განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩემზე, ფილმის შინაარსთან ერთად, მაყურებლის რეაქციებმაც მოახდინა, რომელიც დღემდე მახსოვს, როგორ ტიროდა და განიცდიდა დარბაზი სიუჟეტს. კინოთეატრის შენობა მალევე გაპარტახდა და დიდხანს იყო ასე მიტოვებული, სანამ ახალი ფუნქცია არ გამოენახა. ამჯერად, როცა კინოსეანსები დავაანონსეთ, დედოფლისწყაროელებს შევთავაზეთ, ერთად გაეხსენებინათ კინოში სიარულის მივიწყებული ტრადიცია და მოსულიყვნენ უფასო კინოჩვენებაზე. გაკვირვებული ვიყავი, იმდენად ბევრი უფროსი თაობის წარმომადგენელი მოვიდა. ბევრი მათგანი ჯებირებზე იყო ჩამომჯდარი და ასე ადევნებდა თვალყურს. პირველ დღეს ჩემს მიერ შერჩეული სათავგადასავლო, მძაფრსიუჟეტიანი ფილმი გავიდა, რომელიც საკმაოდ დაძაბული იყო. უმეტესწილად მცირე ასაკის მაყურებელი იყო, მეგონა არ დააინტერესებდათ, ან შეეშინდებოდათ, მაგრამ ფილმი ისე ლამაზად და ისე საინტერესოდ იყო გადაღებული, რომ ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში გასტანა და მაყურებელი არ დაშლილა, ბავშებიც არ ხმაურობდნენ და ემოციურად ადევნებდნენ თვალს. ეს იყო ფილმი „ჩიტის ყუთი“, რომელიც ქალაქში გავრცელებულ აპოკალიფსს ასახავს. თვალახვეული დედა ცდილობს, ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც ასევე თვალახვეულნი არიან, მდინარეში ნავით გადაარჩინოს და სამშვიდობოს გაიყვანოს. თუ თვალებს აიხელენ, ასეთ დროს გაურკვეველი ვირუსი შეეყრებათ, რაც ადამიანებს თვითმკვლელობისკენ უბიძგებს. უამრავი დაბრკოლებები და ბევრი ხიფათი შეხვდება, თუმცა მდინარეში თვალახვეული ქალი შვილებს სამშვიდობოს მაინც გაიყვანს. დღეს ფილმის ყურება გაცილებით ხელმისაწვდომია. ციფრულ** მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ და სატელიტური მაუწყებლობის დახმარებით, რეგიონებშიც გვაქვს შესაძლებლობა, ბევრი ტელე არხი გვქონდეს და დღის ნებისმიერ მონაკვეთში ვუყუროთ ფილმებს. ამას გარდა, „აჭარანეტის“ ფილმების ვებ-გვერდი ყველაზე პოპულარულია საქართველოში, ის ფილმების გახმოვანებაში ყველაზე მსხვილი კომპანიაა და სასიამოვნო იყო, რომ მათ ვუმასპინძლეთ და ორი საუკეთესო საღამო აჩუქეს დედოფლისწყაროელებს. დედოფლისწყაროშიც ბევრი მომხმარებელი ჰყავს ფილმების ქართულენოვან ინტერნეტგვერდებს, ამდენად, სიმართლე გითხრათ, ვშიშობდი, რამდენად მოვიდოდა მაყურებელი, მაგრამ, საბედნიეროდ, ბევრი ადამიანი დაესწრო. მეორე დღეს იმდენად ბევრი მაყურებელი არ იყო, როგორც პირველად, თუმცა, მეორე სეანსზეც ჩვენს მიერ შეთავაზებულმა ფილმმა მოახერხა აუდიტორია ბოლომდე შეენარჩუნებინა. ეს იყო ამერიკული ფილმი „ვენომი“. სიუჟეტის მიხედვით, დედამიწაზე პარაზიტული არსება გამოჩნდება — უცხოპლანეტური ანომალია, ამ ნივთიერებას პლანეტაზე მთელი სიცოცხლის შეცვლა შეუძლია, ადამიანის სხეულში მოხვედრის შემდეგ, მას უკიდურესად სასტიკად გარდაქმნის, განსაკუთრებულ ძალას აძლევს, მაგრამ ამავე დროს მის ნებას ახშობს და ბნელი აზრებით შთააგონებს,“ – აღნიშნა ილია მარტყოფლიშვილმა.



**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# 26 მაისი — დღე, რომელიც ჩვენია!

*„ამიერიდან, საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“ - ასე გაცხადდა 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში ის, რაზეც თავის დროზე არაერთი მამულიშვილი ოცნებობდა.*



დამოუკიდებლობის აქტს წინ 1917 წლის რუსეთში მომხდარი რევოლუცია უძღვოდა, რომლის შედეგადაც ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ. რევოლუციამ საქართველოში, მცირე ხნით, მაგრამ მაინც, გზა გაუხსნა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას. მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე, ცნობილი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი, ზურაბ ავალიშვილი წერდა: „როგორ არ გვეღო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია, აღარ არის, აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოგვიკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა?!“. „ჭეშმარიტი“ პასუხი დამოუკიდებელმა საქართველომ სამი წლის შემდეგ სწორედ ჩრდილოელი მეზობლისგან მიიღო - ეს იყო მრავალწლიანი ინტერვენციის დასაწყისი, როდესაც 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის ნაწილებმა, ადგილობრივ ბოლშევიკებთან ერთად, საქართველო დაიპყრეს. დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდი საბჭოთა ხელისუფლებამ შეცვალა. ამას მოჰყვა, ამავე სივრცეში, 70-80-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ელიტის მიერ „დავიწყებული“ თუ „დაკარგული“ ისტორიული მეხსიერების დაბრუნება, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, ახალი პრეზიდენტი, ბრძოლა „წითელ ინტელიგენციასთან“, სამოქალაქო ომი, აფხაზეთის დაკარგვა, ახალი ხელისუფლებები, რევოლუციები, ახალი კონსტიტუცია, 2008 წლის აგვისტოს ომი - ეს საქართველოს ისტორიის ის პერიოდებია, რომელიც დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მე-6, მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეებმა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე საკმაოდ ორიგინალურად, ორგანიზებულად და შინაარსობრივად დატვირთული წარმოადგინეს. ერთმანეთს ენაცვლებოდა პატრიოტული ხასიათის ლექსები, სიმღერები თუ ისტორიული წარსულის მონაკვეთები. დამსწრე საზოგადოება უემოციოდ ვერ დატოვა ბავშვების პატრიოტულმა გამოსვლებმა. ღონისძიებას, კიდევ უფრო პატრიოტული სულისკვეთებით ავსებდა მამა პანტელეიმონისა და ანსამბლ „ხორნაბუჯის“ წევრების მიერ შესრულებული საგალობელი, ქართული „მრავალჟამიერი“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, მოსწავლეების „ხმალი ავლესოთ“ და ა.შ. მცირე თეატრალური დადგმებით წარმოდგენილი საქართველოს უახლესი წარსული სკოლის აღსაზრდელებმა ხელშესახებად, ღრმად და საინტერესოდ წარმოადგინეს. მათი მოსმენის შემდეგ აუცილებლად დაგრჩებოდათ განცდა, რომ მომავალ თაობას უკვე გააზრებული აქვს ქვეყნის ისტორია, მისი მოფრთხილების აუცილებლობა და სიყვარული. ღონისძიების თითოეული სიტყვა პატრიოტული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული და ყოველი გამოსვლა საზოგადოების მხრიდან მქუხარე აპლოდისმენტებით სრულდებოდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი (კაპანაძე). სკოლის დირექტორმა, თეა სხირტლაძემ ღონისძიების დასრულებისას სიტყვით მიმართა საზოგადოებას: „ჩვენ არამარტო შევეცადეთ გაგვეხსენებინა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი, 1991 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობა, არამედ ვიმოგზაურეთ იმ უახლეს ისტორიაში, რომელიც არის მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. გავიხსენეთ სამწუხარო ამბები, მოვლენები და ის ბედნიერი დღეებიც, რაც საქართველოს უახლეს ისტორიაში ჰქონდა. ჩვენ შევეცადეთ, რომ ჩვენი პატარა ღონისძიებით ის განცდები, ის სულისკვეთება გადმოგვეცა, რაც ამ დღესთან გვაკავშირებს. მე მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს პატარებს, რომლებმაც ასე კარგად წარმოაჩინეს საკუთარი თავი. ისინი დიდი აუდიტორიის წინაშე პირველად დადგნენ. მადლობა ასევე მონაწილე პედაგოგებს, რომლებმაც გაგვილამაზეს დღევანდელი დღე და თითოეულ იმ ადამიანს, ვინც მხარში გვედგა ღონისძიების მომზადებისას. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენს სკოლაში იმ სულისკვეთების და პატრიოტული გრძნობების მქონე ბავშვები აღიზრდებიან, რამაც გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა საქართველო“.

26 მაისის დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა** ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიულოცა და ამ დღის მნიშვნელობაზეც ისაუბრა: ***„მადლობა მინდა ვუთხრა ამ სკოლას, რომ 26 მაისისა და საქართველოს დამოუკიდებლობის სიხარული ხელმეორედ განგვაცდევინეს. ქართველი ადამიანისთვის საერო დღესასწაულებიდან ყველაზე დიდი დღესასწაული სწორედ დამოუკიდებლობის დღეა. ეს დღე იმ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გაგრძელებაა, რასაც ქართული სახელმწიფოებრიობა და დამოკიდებელი საქართველო ჰქვია. ამ პატარებმა არაჩვეულებრივად და რაც მთავარია, მთელი სულით და გულით დაგვანახეს ეს, რაც იგრძნობოდა მათ ყოველ გამოსვლაში. ბავშვებმა ჩვენი ქვეყნის არც თუ ისე ბედნიერი ბოლო ასწლეული წარმოადგინეს და ის ტკივილი გაგვახსენეს, რაც თითოეულ ქართველს და სახელმწიფოს აქვს: დაკარგული ტერიტორიები. ბოლოს, დასკვნა კი მხატვრულად და ოპტიმისტურად იყო გააზრებული და მწამს, რომ დადგება დღე, როდესაც სწორედ ასეთი ბავშვების, პედაგოგების, მშობლების ხელში აღიზრდებიან ის თაობები, რომლებიც საქართველოს ერთიანობას აუცილებლად აღადგენენ და დაუბრუნებენ ქვეყანას იმ დიდებას, რომლითაც თითოეული ჩვენთაგანი ასე ვამაყობთ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს“.***

საზოგადოებას სიტყვით მიმართა **საკრებულოს თავმჯდომარემ** ნუგზარ პაპიაშვილმა: „ჩემთვის დიდი პატივი იყო დღევანდელ დღეს თქვენს გვერდით ყოფნა. მე, როგორც პედაგოგმა, მთლიანად გავაცნობიერე ამ ღონისძიებაში ჩადებული თქვენი შრომა და ღვაწლი. მადლობა ბავშვებს ასეთი შინაარსიანად დატვირთული დღისთვის. მადლობა პედაგოგებს, ბავშვებს, მეუფეს, რომ მოგვიწვია და ასეთ ლამაზ დღესასწაულს დაგვასწრო. მეც ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ლამაზი, მომავალი თაობა თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში იცხოვრებს“.

სიტყვა განაგრძო **საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა** ეთერ ზურიკაშვილმა: ***„უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა გითხრათ აქ მოწვევისთვის და ასეთი თემატურად საინტერესო ღონისძიებისთვის. მადლობა ქალბატონ თეას, იმიტომ, რომ ვიცი, რამდენი შრომაა ჩადებული ამ ღონისძიების მომზადებაში. მადლობა თქვენს პედაგოგიურ კოლექტივს და დღევანდელი ღონისძიების შემოქმედ ბავშვებს, რომლებმაც მართლაც დაგვანახეს თუ რას განიცდიან, რას გრძნობენ ამ ღირსშესანიშნავ დღესთან დაკავშირებით. მეამაყება, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არის ასეთი სკოლა, სადაც პატრიოტული სულისკვეთებით იზრდებიან ბავშვები და ეს თქვენი პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა. ბავშვებო, მჯერა, რომ თქვენ დამოუკიდებელ საქართველოში იცხოვრებთ და თქვებ იქნებით ის თაობა, რომლის მხრებზეც დადგება ჩვენი საქართველოს მომავალი “.***

სკოლის ერთ-ერთმა აქტიურმა გულშემატკივარმა, **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სპეციალისტმა** თამარ აბულაძემ მიულოცა ბავშვებს დამოუკიდებლობის დღე და აღნიშნა: ***„ყველა ღონისძიებიდან, რომელზეც კი აქ დავსწრებივარ, სულ ემოციებით სავსე მივდივარ. უფრო კეთილშობილი, უფრო პატრიოტიზმის გრძნობით განმსჭვალული. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან ეს ისეთი კურთხეული ადგილია, არ შეიძლება ამან თითოეულ ჩვენგანზე არ იმოქმედოს. მე, პირადად, დღეს სულ დანისლული თვალებით ვუყურებდი ჩვენს პატარებს. თქვენ, რომ გამორჩეულები ხართ, ამისთვის დიდი მადლობა ქალბატონ თეას. ძალიან გვეიმედებით და მიხარია, რომ თქვენი ერთ ერთი გულშემატკივარი ვარ“.***

ღონისძიების დასასრულს, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: ***„მადლობას ვუხდი უპირველესად ბავშვებს, პედაგოგიურ კოლექტივს დღევანდელი ღონისძიების მომზადებისთვის. რაც მთავარია, დარჩა ისეთი შეგრძნება და განცდა, რომ ეს ფაქტი ძალიან კარგად გაიაზრეს და გაითავისეს ბავშვებმა, ისინი გადმოსცემდნენ იმ შინაგან განწყობას, რასაც გრძნობდნენ. ჩვენი თაობის ადამიანებისთვის უფრო მტკივნეულია ომისა და დამოუკიდებლობის თემა, ღმერთმა ინებოს, რომ თქვენთვისაც არ იყოს ნაცნობი და ახლობელი მსგავსი რამ, და მხოლოდ სხვების მოსმენით და მონაყოლით განიცადოთ ის, რასაც დამოუკიდებლობის აღდგენისა და შენარჩუნება ჰქვია. დიდი მადლობა მოწვეულ სტუმრებს, რომ მობრძანდით და გაახარეთ ჩვენი პატარები. წარმატებებს ვუსურვებ ბავშვებს“.***



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იმ საერო დღესასწაულებს შორის ერთ-ერთია, რომელსაც მთელი ერი დიდი სიხარულითა თუ მოლოდინით აღნიშნავს. რატომ გვიყვარს ეს დღე? ალბათ, იმიტომ, რომ საქართველოს ყოველთვის ომების ქარცეცხლში უწევდა ყოფნა, ალბათ იმიტომ, რომ საქართველო ესაა ომების, აღიარებული თუ აუღიარებელი გმირების ქვეყანა, ალბათ, იმიტომ, რომ საბრძოლო მზადყოფნა განგებამ ბრძოლისა და დაუდეგარი სულის გამოსაბრძმედად მოგვიმზადა. ალბათ, იმიტომაც, რომ უბრალოდ, სხვანაირად არ შეგვიძლია, მუდმივად თავისუფლებისთვის ვიბრძოდით. ჩვენი, დაახლოებით სამი ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი გამოცდილების მიუხედავად, საქართველო საუკუნეების განმავლობაში უცხო ქვეყნების მიერ იყო დაპყრობილი, და ამდენად, განმათავისუფლებლობა, როგორც იდეა, ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ჩვენი ერის სიცოცხლისუნარიანობის, კონსოლიდაციის და ერთგვარი „გამძლეობის“ ჩამოყალიბებაში.

P.S. **სკოლის დირექტორი,** თეა სხირტლაძე გაზეთ „შირაქთან“ **საუბარში აღნიშნავს,** რომ სკოლა წლის ბოლოს ახალი გამოწვევებით და სიახლეებით ხვდება. სულ მალე, ხარისხის მართვის ექსპერტების ვიზიტის შემდეგ, სკოლა დამატებით სამი: მე-10 ,მე-11 და მე-12 კლასების საფეხურის დამატების უფლების მოპოვებას შეეცდება. მისივე განმარტებით, სკოლას ერთი წლის მოცდის შესაძლებლობაც აქვს, რადგან მათ მე-9 კლასში მოსწავლეების მიღების უფლება უკვე მოპოვებული აქვთ, თუმცა, ამ ეტაპზე მხოლოდ 1-დან მე-8 კლასის ჩათვლით 127 მოსწავლის აღზრდით არიან დაკავებულნი. მისთვის და 21 კოლეგა პედაგოგისთვის, საიდანაც 7 უფროსი მასწავლებელია, გაძლიერებული სწავლის პროცესის მიუხედავად, ბავშვებისთვის თბილი, კომფორტული და მეგობრული გარემოს შექმნა, პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. პედაგოგები მიჰყვებიან განათლების სამინისტროს მიერ გაწერილ სასწავლო გეგმას, კრეტიქულების დაგროვების სისტემას და თანამედროვე სწავლების მეთოდებს. კითხვაზე, თუ როგორი მიღწევებით ასრულებს სკოლა სასწავლო წელს, ქალბატონი თეა გვპასუხობს, რომ ბავშვები ძალიან აქტიურად მუშაობდნენ არამარტო სკოლის შიგნით გამართულ ღონისძიებებსა თუ კონკურსებში, არამედ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა სახის აქტივობებშიც. ამას მოწმობს კინგსის ოლიმპიადაში მონაწილე ბავშვების წარმატებები, საპატრიარქოში გამოცხადებული თემების კონკურსის გამარჯვებულები, ნახატების კონკურსის მიღწევები. გარდა ამისა, ბავშვები ხარისხის მართვის მიერ ჩატარებული ფოტოკონკურსის შედეგების მოლოდინშიც არიან, სადაც სკოლამ საკმაოდ დახვეწილი და კარგად შერჩეული ფოტომასალა წარადგინა. გარდა ამისა, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა და თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სკოლის დირექტორის თქმით, უფრო აქტიური იქნება მეცხრე კლასი, რადგან იგეგმება სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და ერთობლივი მუშაობა. „ჩვენი მიზანია, რომ ბავშვებმა აქტიურად ითანამშრომლონ საზოგადოებასთან. მარტო სკოლაში გაზრდა არაფერს არ ნიშნავს, თუ ისინი საზოგადოებაში არ გავიდნენ და იქაც არ გაიტანეს თავიანთი სიტყვა. როდესაც დაამთავრებენ სკოლას და გავლენ სოციუმში, უცხო საზოგადოებაში მოხვდებიან, შემდეგ დაიბნევიან. ამიტომ სკოლა მათთვის ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპია“. – აღნიშნავს ქალბატონი თეა.

ქუქუნა ყანჩაშვილი

# თუ ხარ ძლიერი პროფესიონალი, მთელი ცხოვრება ხარ წარმატებული

„რამდენი ენაც იცი, იმდენი ადამიანი ხარო“, ხშირად გვსმენია. მე კი დავამატებ, „თუნდაც ის ენა შენი ქვეყნის მტრისა და ოკუპანტის ენა იყოს“, რადგან, სწორედ მტრის ენის ცოდნა დაგეხმარება მის წინააღმდეგ საბრძოლველად“. სწორედ ასე ფიქრობს ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ლალი აბაშიძე, რომელიც უკვე 44 წელია, ამ საქმეს ემსახურება. მისი პედაგოგიური მრწამსი კი ლევ ტოლსტოის ერთი ბრძნული ნააზრევიდან გამომდინარეობს, რომელიც ასე ჟღერს: **„თუ მასწავლებელს უყვარს თავისი საქმე, ის კარგი მასწავლებელია, თუ მასწავლებელს უყვარს მოსწავლეები ისე, როგორც საკუთარ დედას და მამას, ის სჯობია იმ მასწავლებელს, რომელსაც ყველა წიგნი აქვს წაკითხული და კარგი მასწავლებელია, მაგრამ თუ მასწავლებელში გაერთიანებულია საგნის და ბავშვების სიყვარული, ის სრულყოფილი მასწავლებელია.“** ჰოდა, ლალი მასწავლებელი ამ მესამე კატეგორიას ეკუთვნის, რომელსაც საგანიც უყვარს და ბავშვებიც . თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ ბავშვებსაც ძალიან უყვართ ლალი მასწავლებელი, მივიღებთ სრულ ჰარმონიას, რომელიც, საზოგადოდ, უნდა სუფევდეს აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის. სწორედ ეს დამოკიდებულება იგრძნობოდა 30 მაისს დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში გამართულ ღია გაკვეთილზე, რომლის თემა პროფესიული ორიენტაცია გახლდათ, ხოლო დევიზი – (хочу, могу, надо) „მინდა, შემიძლია, საჭიროა“). საგანგებოდ გაფორმებულ ვრცელ საკლასო ოთახში თავი მოიყარეს მე-8,მე-9 ა და ბ კლასების მოსწავლეებმა, რომლებსაც ლალი აბაშიძე რუსულ ენას ასწავლის და მე-8 დან მე-12 კლასების ჩათვლით ყველა მოსწავლემ, რომელსაც ეს საკითხი აინტერესებდა. ამდენად, ოთახი სავსე იყო მოსწავლეებით და სხადასხვა სპეციალობის სტუმრებით, რომლებიც მოიწვიეს, რათა ბავშვებისათვის გაეზიარებინათ თავისი შთაბეჭდილება და მოეთხროთ ამა თუ იმ პროფესიის დანიშნულებაზე, სირთულეებსა და მიზნებზე.

შესავალ სიტყვაში, რომლითაც ლალი მასწავლებელმა გახსნა გაკვეთილი, თქვა: „ბავშვებო, ცხოვრების მანძილზე ადამიანებს ორი უდიდესი და მნიშნელოვანი გადაწყვეტილების მიღება უწევთ. ეს არის სპეციალობა და ცხოვრების თანამგზავრი, მეუღლე. ორივეს დიდი დაფიქრება სჭირდება და ორივე დამყარებული უნდა იყოს ჯანსაღ სიყვარულზე და არა გატაცებაზე, რადგან ეს ორი რამ განსაზღვრავს შემდგომში თქვენს ბედნიერებას მთელი ცხოვრების მანძილზე. ძალიან ძნელია, იცხოვროთ ადამიანთან, რომლის მიმართ სიყვარულმა და ინტერესმა მალევე გაგიარათ და უფრო ძნელია, მთელი ცხოვრება აკეთოთ და ემსახუროთ საქმეს, რომელიც არ გიყვართ. ამიტომ, არჩევანის დასაწყისში პასუხი უნდა გასცეთ სამ მნიშვნელოვან საკითხს: **მინდა? შემიძლია? საჭიროა?** ამ სამი კითხვის გამთლიანებით, დადებითი პასუხის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ არჩევანი სწორია. მოდით, ახლა მოვუსმინოთ სამ წარჩინებულ მოსწავლეს, რომლებიც წარმოადგენენ მათ მიერ არჩეული სპეციალობების პრეზენტაციას რუსულ ენაზე, შემდგომ დისკუსიას კი გავაგრძელებთ. თემას გახსნის მე-9 ბ კლასის მოსწავლე **ელენე ჩალათაშვილი,** რომელსაც დიზაინერობა აქვს გადაწყვეტილი. დარბაზში წარმოდგენილი იყო ელენეს მიერ სხვადასხვა თემაზე შესრულებული ნახატები და ესკიზები, რომელმაც მნახველთა მოწონება დაიმსახურა. მან, თითქმის პროფესიონალურ დონეზე განმარტა რა მოსწონდა, რატომ მოსწონდა და რა მიზანი აქვს მის არჩევანს ცხოვრებაში. ელენეს შეკითხვებს უპასუხა საქართველოს სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა, დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის მხატვარმა- დეკორატორმა **სოფო კირვალიძემ. ბოლოს კი** მან დამსწრეთ წარუდგინა თავისი ბოლო გატაცება - ქაღალდით მუშაობის მიმართულებით შესრულებული ნამუშევარი, რომელმაც დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია.

შემდეგი პრეზეენტაცია წარმოადგინა მე-8 ა კლასის მოსწავლემ **ნიკა სიჭინავამ**, რომელსაც კომპიუტერის პროგრამისტობა სურს. „მინდა, გავხდე პროგრამისტი და რომ შევძლო ეს, კარგად ვსწავლობ ფიზიკას, მათემატიკას, რაც შეეხება საჭიროებას, დღეს, 21-ე საუკუნეში, კომპიუტერის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, მის გარეშე ვერ განვითარდება ვერცერთი დარგი,“ – თქვა მან.

მე-9 ა კლასის მოსწავლე **ანა მოდებაძემ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მას სურს პროფესიად აირჩიოს ბიზნესის ადმინისტრირება, კარგად შეისწავლოს ეკონომიკა,რათა გააგრძელოს ოჯახის მემკვიდრეობა. განმარტებისთვის გეტყვით, რომ ანა გახლავთ რაიონში კარგად ცნობილი რძის პროდუქტების მწარმოებელი წარმატებული ბიზნესმენების ზეინალ მოდებაძის და თამარ მოძღვრიშვილის შვილიშვილი და ის პრაქტიკულად ხედავს თავის თავს ამ საქმიანობაში სამომავლოდ, რაც მისასალმებელია. ანას მიზანია, დღევანდელი და სამომავლო სიახლეების ფონზე გამოვიდეს კარგი სპეციალიცტი, რომ სწორი ეკონომიკური მიმართულება მისცეს საოჯახო საქმიანობას.

სამივე აპლიკანტმა ისეთი დამაჯერებლობით ისაუბრა და თავისი არჩევანი გაამყარა ეკრანზე ნაჩვენები სლაიდებით და გრაფიკული ნამუშევრებით,რომ ეჭვს არ იწვევს, მათ სწორად აირჩიეს სპეციალობა და აქედანვე დაიწყეს მზადება წარმატებისთვის. მათ მოწვეული სტუმრების, დამსწრე საზოგადოების და მოსწავლეების გულწრფელი აპლოდისმენტები დაიმსახურეს.




გაკვეთილის მეორე ნაწილში მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს თავისი სპეციალობების შესახებ, წარმოადგინეს მათი დანიშნულების, საქმიანობის,სირთულეების თუ წარმატების მიღწევის გზები და საშუალებები.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი დაინტერესებული აღმოჩნდა პოლიციის საქმიანობით, მათ ამომწურავად უპასუხა **პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა, უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროსმა მიხეილ კედელაშვილმა**.

- ჩვენ გვაქვს უამრავი ვალდებულება, რომელსაც ვემსახურებით, ადვილი არ არის იდგე თითოეული მოქალაქის სიმშვიდის სადარაჯოზე, იცავდე მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უფლებებს და თავისუფლებებს. ეს მოითხოვს სიმამაცეს, მაგრამ არა უშიშრობას, ხშირად მიდიხარ რისკზე,სადაც სხარტი და წამიერი აზროვნება, გადაწყვეტილების სწრაფი მიღება გჭირდება, მაგრამ არ უნდა გასცდე კანონიერების ფარგლებს. და რომ არ გასცდე ამ ფარგლებს, ძალიან კარგად უნდა იცოდე კანონმდებლობა. ამიტომ, კარგად უნდა ისწავლოთ,-თქვა ბატონმა მიხეილმა თავის გამოსვლაში.

ბევრმა მოსწავლემ გამოთქვა სურვილი გახდეს ექიმი. მათ შეკითხვებს უპასუხეს: **ოტოლარინგოლოგმა დიმიტრი ყოჩიაშვილმა, თერაპევტმა თეა გიგოლაშვილმა და სკოლის ექიმმა, პედიატრმა შორენა ღვინიაშვილმა.** დასკვნა ერთია: ექიმი დგას ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სადარაჯოზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ყველანაირ ამინდში, სტიქიური უბედურების, ომის და ეპიდემიების გავრცელების დროს. ექიმობამდე მისასვლელი გზა, სხვა სპეციალობებთან შედარებით, ხანგრძლივია, ის რვა წელი გრძელდება, საჭიროებს ცოდნის მაღალ დონეს და მუშაობის პროცესში სისტემატურ განახლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას. ამასთან, დიდ ნებისყოფას, ლმობიერებას, ჰუმანიზმს, ყურადღებას. ძალიან რთული და ძნელია ექიმობა, მომაკვდავი ადამიანის სასთუმალთან გათენებული არაერთი ღამე, ხან დამარცხება, ხან გამარჯვება, მაგრამ გადარჩენილი სიცოცხლისთვის ნათქვამი ერთი მადლიერება, წარმოუდგენელი სტიმულია და ძალთა განახლება. ექიმის პარალელურად გამოიკვეთა ექთნის პროფესიაც და აღინიშნა, რომ რაიონის სინამდვილეში ბევრია ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებული, რომელიც საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციას ამჟღავნებს. ამას დედოფლისწყაროს სამედიცინო-ჰუმანიტარული კერძო კოლეჯის დირექტორის **ციური ხუციშვილის** განმარტებები მოჰყვა მათთან არსებული სპეციალობების შესახებ. - მართალია, ჩვენთან სწავლა ფასიანია, მაგრამ ეს ფასი ხელმისაწვდომია. ჩვენ ვამზადებთ, როგორც სამედიცინო დარგის სპეციალისტებს - მედდებს, ფარმაცევტებს, ასევე ჰუმანიტარული და ტექნიკური დარგის სპეციალისტებს, რომლებიც წარმატებით საქმდებიან. ასე რომ, მობრძანდით ჩვენთან, - განაცხადა ქალბატონმა ციურიმ და ღონისძიების ბოლოს მოსწავლეებს სათანადო ბუკლეტები დაურიგა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს განათლების სფეროში დიდი ცვლილებები ხორციელდება და მკაფიოდ იკვეთება აზრი, რომ განათლება არის ქვეყნის გადარჩენისა და წინსვლის გარანტი, მასწავლებლობის სურვილი სულ რამდენიმე ბავშვმა გამოთქვა. მათი მოტივაციის ამაღლებას პირადი მაგალითით შეეცადა **ისტორიკოსი ნანული ნატროშვილი,** რომელიც 60 წელია, უწყვეტ რეჟიმში ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას. მასწავლებლობა საპატიო და საპასუხისმგებლო პროფესიაა ქვეყნისა და ერის წინაშე, რადგან აყალიბებს მომავალ თაობას, რომლის მხრებზე, გონებაზე, განსწავლულობაზე, პატიოსნებაზე გადის ქვეყნის განვითარება და ძლიერება.

ჟურნალისტობის მსურველიც ბევრი აღმოჩნდა, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ჟურნალისტობა სწავლასთან ერთად თანდაყოლილი ნიჭიცაა და მოითხოვს დიდ შრომისმოყვარეობას, შეუპოვრობას, გამბედაობას, ლავირების უნარს, კომუნიკაბელურობას და რაც მთავარია, ფართო და მხავალწახნაგოვან ცოდნას თითქმის ყველა სფეროში, ფართო თვალსაწიერს და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამ საკითხზე მოსწავლეების შეკითხვებს, **გაზეთ „შირაქის“ რედაქტორმა ნაირა გორაშვილმა უპასუხა.**

დიდი ინტერესი გამოიწვია **მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, მალხაზ მერაბიშვილის** საუბარმა საჯარო მოხელის უფლება-მოვალეობებზე, - ხიბლში ნუ ჩავარდებით, მუდამ გახსოვდეთ, ეს არის 24 საათიანი დაუსრულებელი და ამოუწურავი საქმიანობა ხალხის საჭიროებებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის განვითარებისა და გაძლიერებისათვის, ეს შორიდან ჩანს კაბინეტში ჯდომა და „შავი ჯიპი“ მომხიბლავი, სინამდვილეში, სული და გული უნდა ჩადო ყველა საქმეში, მაგრამ მაინც ყველა ვერ იქნება კმაყოფილი. ამიტომ გაქვს ძალიან მაღალი თმენის ვალდებულება, რაც საკმაოდ რთულია. მთავარია ისიც, როგორი საბაზისო ცოდნა გაქვს, ხარ თუ არა კომუნიკაბელური, ლოგიკური და დამაჯერებელია თუ არა შენი საუბარი, არგუმენტები. წარმატების მიღწევა კი საზოგადოებასა და საჯარო მოხელეს შორის ურთიერთთანამშრომლობაა, - თქვა ბატონმა მალხაზმა.

– ადამიანი უფლის მსახურია და ყველა საქმე მისგან გამოდის. ვმადლობდეთ უფალს, - ბრძანა **დეკანოზმა ნიკოლოზმა** და დამსწრენი დალოცა.

ცალკე მინდა გამოვყო საპატიო სტუმრის სტატუსით მოწვეული **განათლების სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის** მათე ტაკიძის გამოსვლა. მას თან ახლდა №1 საჯარო სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებული, კოლეჯ „სპექტრის“ ფინანსისტი, ქეთი ღვინიაშვილი. ბატონმა მათემ ისაუბრა იმ დიდ შესაძლებლობებზე, რომელსაც, ზოგადად, პროფესიული სასწავლებლები და კერძოდ, მისი კოლეჯი აძლევს ახალგაზრდებს აირჩიონ თანამედროვე, ცხოვრების საჭიროებებიდან გამომდინარე სპეციალობები, მიიღონ მაღალკვალიფიციური ცოდნა და დასაქმდნენ, რასაც თვით კოლეჯი უზრუნველყოფს. აქ სწავლა უფასოა. კოლეჯი აღჭურვილია ფართო და ნათელი აუდიტორიებით, გათბობით, კონდიცირებით, ლაბორატორიებით. მალე აშენდება საერთო საცხოვრებლები რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეებისთვის.

-ჩვენ საინჟინრო მიმართულების კოლეჯი გვაქვს და არა მხოლოდ ჩვენი კოლეჯი, ქვეყანაში ბევრი პროფტექნიკური სასწავლებელია, სადაც სახელმწიფო დაფინანსებით შეგიძლიათ მიიღოთ ძალიან საჭირო და მოთხოვნადი პროფესიები, იყოთ უზრუნველყოფილი სამუშაოთი. თქვენი მხარისთვის მოსახერხებელია როგორც დედაქალაქი, ასევე საგარეჯო, თელავი. 250-მდე პროფესიაში თქვენ შეგიძლიათ შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი და მორგებული სპეციალობა. სპეციალობა მეზობლის ან ნათესავის წამხედურობით კი არა, თქვენი ცხოვრების უკეთ მოსაწყობად უნდა შეარჩიოთ, თუ ხარ პროფესიონალი, მაშასადამე მთელი ცხოვრება ხარ წარმატებული,- თქვა ბატონმა მათემ.




გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ ასამდე ბავშვი ღებულობდა ამ დისკუსიაში მონაწილეობას და არავის უთქვამს, მინდა ვიყო კარგი კირით-ხურო, ეკლესია-მონასტერი რომ ავაშენო, მინდა ვიყო დურგალი, მლესავი, თუნდაც ვეტერინარი, ენტომოლოგი და სხვა ისეთი, რომელიც სასიცოცხლოდ სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს რაიონს, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას.

– ეს იყო დროული და საჭირო თემა ამ კლასებისთვის. მათ აქედანვე უნდა იფიქრონ მომავალზე და სწორი არჩევანისთვის ხშირად უნდა შეხვდნენ ადამიანებს, რომლებიც მათ სწორ მიმართულებას მისცემენ. ძალიან შინაარსიანი გაკვეთილი ჩაატარა დღეს ლალი აბაშიძემ, რისთვისაც მადლობა მას და მადლობა ყველა მოწვეულ სტუმარს, ვინც გამონახა დრო, რომ მობრძანებულიყო და თავისი გამოცდილება გაეზიარებინა, – ასე შეაჯამა შეხვედრა **რესურსცენტრის დირექტორმა ეთერ ზურიკაშვილმა.**

ლალი მასწავლებელს გაკვეთილის თემა და ორიგინალურობა მოუწონა **სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა**.

ნაირა გორაშვილი

# რა მოხდა ლაგოდეხში?




ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 16 წლის გოგო, რომელმაც ბავშვი გააჩინა, 40 წლის ნათესავს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს. გოგონა მე-11 კლასის მოსწავლეა.

ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის იურისტის, ლია ხუროშვილის ინფორმაციით, არასრულწლოვანმა ორსულობის შესახებ მაშინ გაიგო, როდესაც სკოლაში შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში წაიყვანეს. არასრულწლოვანმა იმ დღესვე იმშობიარა.

ლია ხუროშვილი მოზარდისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განმარტავს, რომ მამაკაცმა ოჯახის წევრების მოკვლის მუქარით, არასრულწლოვანთან ერთი წლის ინტერვალით ორჯერ დაამყარა სექსუალური კავშირი. თუმცა ამ ფაქტის შესახებ მან არც მშობლებს და არც სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

**„როგორც გოგონა ჩემთან საუბარში ყვება, მისმა ნათესავმა, 40 წლის მამაკაცმა მასზე სექსუალურად ორჯერ იძალადა. ორივე შემთხვევა, სავარაუდო მოძალადის სახლში მოხდა, რადგან მისი შვილი ამ გოგონას კლასელია და იმ მოტივით, რომ სახლში არავინ იყო, მეგობართან დარჩა. როგორც თავად ამბობს, ორსულობის შესახებ არაფერი იცოდა. გოგონამ მშობიარობის შემდეგ ბავშვის წაყვანა არ მოისურვა, თვითონ კი ნათესავებმა წაიყვანეს.**

**არასრულწლოვანი უკვე გამოიკითხა. ამჟამად დანიშნულია ექსპერტიზები, რომ დადგინდეს ბავშვი გენეტიკურად ნამდვილად ეკუთვნის თუ არა იმ მამაკაცს, რომელსაც გოგონა სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს. ვიდრე ექსპერტიზის შედეგები არ იქნება, მანამდე ვერ გაირკვევა სიმართლე და ვერც გოგონა იქნება დაზარალებულად ცნობილი და ვერც მამაკაცი ბრალდებულად“**, - აღნიშნა ლია ხუროშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სქესობრივ კავშირს ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას 16 წელს მიუღწეველთან.

უწყების ცნობით, ასევე ტარდება საგამოძიებო მოქმედებები ბავშვის მამის დადგენის მიზნით, მას შემდეგ რაც დადგინდება მამის ვინაობა, მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

# „ილოზე უკეთეს ვაჟკაცს ავიაციაში ვერ ნახავდით“ – რას ჰყვებიან ახლობლები ყაზბეგში ავიაკატასტროფისას დაღუპულებზე?

***6 ივნისს “აჭარა ჯგუფის” კუთვნილმა კერძო შვეულმფრენმა სტეფანწმინდაში, სასტუმრო “რუმსის” ტერიტორიაზე დაფრენამდე ავიაკატასტოფა განიცადა. დაიღუპა პილოტი და “რუმსის” ორი თანამშრომელი.***

პილოტი საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სამხედრო მფრინავი ილო ბაიდაშვილი გახლდათ, მას სატრანსპოტო Ми-8-ზე და საბრძოლო Ми-24 ტიპის შვეულმფრენებზე ფრენის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

გარდაცვლილები არიან ასევე გიდი 27 წლის კონსტანტინე (კოტე) საცერაძე და სასტუმროს შვეიცარი თორნიკე მოსიაშვილი.

კოტე საცერაძე რუსთაველია, როგორც მისი ახლობლები ამბობენ, ის გამორჩეულად ნიჭიერი და მშრომელი ახალგაზრდა იყო.

„არ ვიცი, როგორ უნდა ვანუგეშო კოტეს მშობლები, სამაგალითო ოჯახი აქვთ, დედა მასწავლებელია, მამა ინჟინერი, ძმა ექიმია. დაუჯერებელია, რომ ეს სიცოცხლით სავსე, საუკეთესო ბიჭი აღარ არის”, - გვითხრა კოტე საცერაძის ახლობელმა.

„ვაიმე, კოტე. სად გვყავს შენნაირი დასაკარგი ბიჭები...” - ახლობლების არაერთ ასეთ პოსტს ნახავთ სოციალურ ქსელში.

ადგილობრივების ინფორმაციით, ვერტმფრენი, სავარაუდოდ, სოფელ აჩხოტიდან მოფრინავდა და ის სასტუმრო “რუმსის” ტერიტორიაზე უნდა დაფრენილიყო, რა დროსაც, სტეფანწმინდის შესასვლელთან კატასტროფა განიცადა.

ავიაციის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ფრიდონ ფალიანი ავიაკატასტროფის დროს დაღუპულ პილოტზე, ილო ბაიდაშვილზე გვიყვება:

- ილიკო ჩემს ხელში გაიზარდა, უწესიერესი და უადამიანურესი ბიჭი იყო. მას ავიაციაში დიდი გამოცდილება ჰქონდა. 1991 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ ილიკომ თბილისის სასწავლო ცენტრი და რუსეთის ფედერაციის ქალაქ სიზრანის შვეულმფრენების უმაღლესი საავიაციო სასწავლებელი დაამთავრა.

ეგ და სოსო ოსორაული ერთ კურსზე სწავლობდნენ და მეგობრობდნენ... მან ამერიკაში, ალაბამას შტატში გაიარა გადამზადება და იქედან კოპიტნარში წავიდა, Ми-24-ის მფრინავი-ინსტრუქტორი იყო, 2008 წელს ილიკო სამაჩაბლოში დაფრინავდა, აგვისტოს ომში მონაწილეობდა... ილიკოს ქობულეთში მცხოვრები უკრაინელი პოლიტიკოსი ლეონიდ ჩერნოვეცკიც დაჰყავდა. ის უაღრესად გამოცდილი, პროფესიონალი მფრინავი და უკეთილსინდისიერი ადამიანი იყო. რა მოხდა ყაზბეგში, ჯერ არ არის გარკვეული, სანამ გამოძიება არ დაადგენს და ექსპერტიზის პასუხი არ იქნება, ვერავინ ვერაფერს იტყვის.

ილიკო ჩემს ხელში გაიზარდა, ვახლობლობდით, ბოლოს ერთი თვის წინ ვნახე, ჩემთან იყო მოსული უჯარმაში. ილიკო უმამოდ გაიზარდა, შუათანა ძმა იყო და თვითონ სამი შვილის მამაა. მფრინავი-ინსტრუქტორი მოსკოვის პროსპექტზე, შანხაის უბანში ცხოვრობდა. ამ ადამიანში ბოროტების ნატამალი არ იყო, პატიოსნად ცხოვრობდა, ყველას ეხმარებოდა. ის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტში მუშაობდა და როცა ავიაცია დაიშალა, ყველამ თავისი გზა მონახა. მას დიდი სამუშაო ფრენის გამოცდილება ჰქონდა, ადამიანური ხომ ჰქონდა და ჰქონდა. მაგაზე უკეთეს ვაჟკაცს ავიაციაში ვერ ნახავდით.





არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ შემთხვევა ყველას შეიძლება მოუვიდეს. კატასტროფა შეიძლება საფრენ აპარატს დავაბრალოთ, შეიძლება ამინდს...

ათასი მიზეზი შეიძლება იყოს, ამიტომ ვერავის დავადანაშაულებ. დილით რომ გავიგე ეს ამბავი, ეგრევე მივხვდი, ილიკო იყო დაღუპული, ვიცოდი, ეგ მუშაობდა ყაზბეგში. მას მერე თვალზე ცრემლი არ შემშრობია, ყველანი ვტირით... მარტო ავიაციას კი არა, მთელს საქართველოს დააკლდა ილიკო - დიდი მამულიშვილი, კეთილსინდისიერი ადამიანი და საუკეთესო ქართველი.

---

**მონატრება**

## მალხაზ ნასრაშვილი



8 ივნისს სევდით, ტკივილით და მონატრებით სავსე ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩემო შვილო, გენაცვალოს დედა! ყველას გული გვატკინე, ახლობლებს, ბიძებს, ბიძაშვილებს, დეიდას, დეიდაშვილებს, ბიცოლას, მამიდებს, მამიდაშვილებს, მეზობლებს, ამხანაგებს.

უეცრად, მოულოდნელად განვითარდა ყველაფერი, მარტო მყოფს თავზარი დამეცა, კომაში ბევრჯერ ჩავარდნილხარ, ახლა ისე არ იყავი, როგორც სხვა დროს, 5 წუთიც არ იყო გასული, თვალები გადაატრიალე, ველარაფერი მოვასწარი, არც არაფერი არ გითქვამს, თვალები მე დაგიხუჭე, შენ მოგიკვდეს დედა! ჩემო კეთილშობილო შვილო! უფალმა ასე ინება, აღდგომის კვირას წაგიყვანა ზეციურ სასუფეველში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული!

დედის გული არასოდეს გამთელდება... შვილმკვდარი დედის ნუგეშისმომცემი სიტყვა არ არსებობს ქვეყანაზე, ჩემო გაუხარელო შვილო! გენაცვალოს დედა ჩემო „ დიდ ბავშვად“ დარჩენილო, შენ სულ ცოცხალი იქნები ჩემს გულში ...

**შენი მონატრებული დედა:** მარგო ბენაშვილი, **და** - ლაურა ნასრაშვილი, **დისშვილი** თამარ შამათავა, **სიძე**- რევაზ შამათავა.

---

ნაირა გორაშვილი და ზურაბ პოპიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნუგზარ ალუღიშვილის ოჯახს მამის

ვლადიმერის

გარდაცვალების გამო.

---

ნაზი მოსაშვილი, მადლენა ყოჩიაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, დოდო ნასრაშვილი, ნელი სულაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გულო ალუღიშვილს შვილის და თამარ ქვაჭრელიშვილ-ავსაჯანიშვილს მეუღლის

გელა ავსაჯანიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნუგზარ ალუღიშვილის ოჯახს მამის

ვლადიმერის

გარდაცვალების გამო.

---

ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე და ორგანიზაციის გამგეობის წევრები თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარეს ლია ნადარეიშვილს შვილის

დავით გვასალიას

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები: ნელი და გია კოვზირიძეები, ნაირა და ნოდარ გომელაურები, თინა მურვანიძე, გალინა ოსიპოვა, მანანა და ვალერი ბაგალიშვილები, ანა გონაშვილი, დიმა ალუღიშვილი, ნადიკო ჯამასპიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გელა ავსაჯანიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

# ლაშა ბექაური ევროპის ღია პირველობის გამარჯვებულია



*1 ივნისს სტარტი აიღო ევროპის ღია პირველობამ ძიუდოში, სადაც საქართველოს სახელით 7 სპორტსმენი ასპარეზობდა. საქართველოს ნაკრების ძიუდოისტებმა ევროპის ღია პირველობაზე რუმინეთის ქალაქ კლუჟ-ნაპოკაში 4 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. შეჯიბრის მეორე დღეს ვაჟებში შეჯიბრი 4 წონაში ჩატარდა და ოთხივეში გამარჯვებულები ქართველები გახდნენ: ვლადიმერ ახალკაცი (-81კგ), ლაშა ბექაური (-90კგ), ონისე სანებლიძე (-100კგ) და გურამ თუშიშვილი (+100კგ). ბრინჯაოს მედალი იმედა გოგოლაძემ მოიპოვა (-90კგ).*

*90 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ღირსებას ლაშა ბექაური და იმედა გოგოლაძე იცავდნენ. ახალგაზრდა ქართველმა ძიუდოისტმა დედოფლისწყაროელმა* ლაშა ბექაურმა *ძალიან წარმატებით იასპარეზა. ლაშა შეჯიბრში მეორე ეტაპიდან ჩაერთო და მისი მეტოქე უძლიერესი იტალიელი ძიუდოისტი — მატეო მარკონჩინი იყო. ლაშამ მცირე სენსაცია მოახდინა და იტალიელი 2 ვაზარით დაამარცხა. მისი შემდეგი მეტოქე უკრაინელი — ვიქტორ მაკუია იყო, რომელიც ლაშამ მარტივად იპონით დაამარცხა და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა, სადაც მას ბრიტანელი — მაქს სტიუარტი დაუხვდა. ლაშა ბექაურმა ულამაზესი იპონით დაამარცხა ბრიტანეთის წარმომადგენელიც და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ბელგიელი — იოაკიმ ბოტიე იყო.*

ახლახან ჩამოფრინდა, მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატზე სადაც ევროპის ღია პირველობა მოიპოვა და საქართველო ასახელა, ყოველ შეჯიბრზე ფიქრობს, რომ მის უკან ქვეყანა და გულშემატკივრები არიან და აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს.

გთავაზობთ ბლიც-ინტერვიუს ლაშა ბექაურთან, რომელმაც ამჯერად წარმატებას უფროსი ასაკის კატეგორიაშიც მიაღწია.

***– ლაშა, როდის და სად იყო შენი პირველი გამარჯვება?***

– შვიდი წლის ასაკში შევედი ძიუდოზე, რვა წლის ვიყავი, როდესაც რაიონულ ჩემპიონატზე გავედი და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე.

***– რატომ გადაწყვიტე სპორტის ამ სახეობას გაჰყოლოდი?***

– თავდაპირველად მამაჩემმა შემიყვანა ძიუდოზე, ძალიან ბედნიერი მომენტია, როდესაც იმარჯვებ და ამ ბედნიერი წამების გამო ღირს ვარჯიში და მონდომება, ამასთან ერთად, საქართველოში სპორტის ამ სახეობას დიდი ყურადღება ექცევა და ძალიან პერსპექტიულია, ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა ძიუდო და ყველაფერს ვაკეთებ ჩემი განვითარებისთვის. უფლის წყალობით მივაღწევ იმ მწვერვალს, რასაც ქვია ოლიმპიური ჩემპიონობა, მაქვს სურვილი, რომ ვიყო პირველი! სწორედ ამ პრეტენზიით მივყვები დღემდე სპორტის ამ სახეობას.

***– რას გრძნობ როდესაც შეჯიბრზე გადიხარ?***

– როდესაც შეჯიბრზე გავდივარ, ყოველთვის ვფიქრობ, რომ ჩემს უკან სამშობლო და ხალხი დგას, რომელიც მგულშემატკივრობენ და დამარცხების უფლება არ მაქვს. ყოველ შეჯიბრზე გამარჯვების იმედით გავდივარ და მჯერა, რომ დღის ბოლოს საქართველოს ჰიმნს ავაჟღერებ და ამ ბედნიერი მომენტით დავტკბები

***– რამდენი გამარჯვება გაქვს მოპოვებული?***

– მიღწევა ძალიან ბევრი მაქვს სხვადასხვა დონის შეჯიბრებზე, მაგრამ ამ გამარჯვებებიდან გამოვყობდი სამ უმაღლეს ტიტულს. 2017 წელს ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონობას და 2018 წელს უკვე უფროს ასაკში მსოფლიო ჩემპიონობას

***– სულ ახლახანს ევროპის ღია პირველობა მოიპოვე, ჯილდო გადმოგცა საქართველომ, ან ძიუდოს ფედერაციამ?***

– ამ დილით ჩამოვედი რუმინეთიდან, სულ ახლახანს გავხდი ჩემპიონი და ჯილდოც, რა თქმა უნდა, იქნება.

***– როგორ ფიქრობ, სპორტსმენი საქართველოში სათანადოდ დაფასებულია?***

– მე ვფიქრობ, რომ დაფასებულია იმიტომ, რომ თუ სპოტსმენი შედეგს მიაღწევს ანაზღაურებაც და ფულადი პრემიაც დამაკმაყოფილებელია, სპორტის ჩვენს სახეობას რაც შეეხება, გვაქვს შეკრებები უფასო, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ და რაც სპორტსმენს სჭირდება, ყველანაირი ხელშეწყობა გვაქვს. შენზეა დამოკიდებული, რამდენად მოინდომებ.

***– ბევრი გულშემატკივარი გყავს?***

– კი, ძალიან ბევრი გულშემატკივარი მყავს, რაც ძალიან მახარებს და დიდ სტიმულს მაძლევს, რომ ყველაფერი გვაკეთო და გავახალისო მათი ცხოვრება ჩემი ახალ-ახალი გამარჯვებებით.

***– ლაშა, მოდი, გულწრფელად გვითხარი, დაოჯახებაზე არ გიფიქრია?***

– დაოჯახებაზე ვფიქრობ, მაგრამ არ ვაპირებ, თავისუფლება მიყვარს!...

გურამ არუთინაშვილი



## ულოცავენ!

### ნათელა პოპიაშვილს!

გილოცავთ პირველი შვილთაშვილის – მათე ჭინჭარაულის დაბადებას. ახალშობილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მშობლებს კი, ნათია ბენაშვილსა და გიორგი ჭინჭარაულს, აკვანთა სიმრავლეს და მალე დაბრუნებას სამშობლოში, რათა ღირსეული შთამომავლობა აღუზარდონ ქვეყანას. ჰქონდეთ მათ ბედნიერი ბავშვობა და ისწავლონ მოყვასის სიყვარული.

**პატივისცემით,** ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგები და მეგობრები.

### გულნარა (ნანიკო) ღორაშვილს!

ჩვენთვის საყვარელო ნანიკო, ხოლო საზოგადოებისთვის გულნარა მასწავლებელო, ჩვენო ძვირფასო ქალბატონო, გულწრფელი სიხარულით გილოცავთ საიუბილეო 70 წლისთავს. გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს, სიხარულს და ბედნიერებას შენს შესანიშნავ ოჯახთან ერთად, რომელსაც დედაბოძივით უდგახარ.კვლავაც წარმატებები გქონდეს პირად ცხოვრებასა და პედაგოგიურ საქმიანობაში. სულ სიკეთე გვესმოდეს შენი. უფალი გწყალობდეს.

**დიდი სიყვარულით: ძმა** ციხელო, **ძალო** ნორა, **ბიძაშვილები:** სპარტაკი, ანგელინა, მანანა, თამილა ღორაშვილები, **სიძე:** თამაზ ჯარიაშვილი, **რძლები:** თამარ ტურიაშვილი, თამარ პოპიაშვილი და ლეილა სულაშვილი ოჯახებით.

## ყურადღება!

22 ივნისს, დედოფლისწყაროს მრავალპროფილურ კლინიკას **ეწვევა თბილისის ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის კვალიფიციურ ექიმთა ბრიგადა,** რომელიც ჩაატარებს უფასო სამედიცინო კვლევებს დედოფლისწყაროელი ნორჩი პაციენტებისთვის.

პაციენტებს მოემსახურებიან სპეციალისტები:

- ბავშვთა ქირურგი;
- ყბა-სახის ქირურგი;
- ყელ-ყურის ექიმი;
- ტრავმატოლოგ-ორთოპედი;
- პედიატრი;
- ენდოკრინოლოგი;
- ნევროლოგი;
- ოფთალმოლოგი (თვალის ექიმი);
- ექოსკოპისტი.

მიღება დაიწყება 11 საათიდან და მთელი დღის განმავლობაში გასტანს.

აქცია ხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.

## ანაკლიის პროექტს ვერავინ დააზიანებს, რადგან მას გვერდით სახელმწიფო უდგას

ანაკლიის ღრმაწლოვანი პორტის პროექტი არის პრიორიტეტი და არც ერთი ისეთი გადაწყვეტილება არ მიგვიღია, რაც ანაკლიის პროექტს დააზარალებს, - ამის შესახებ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე, ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ ოპოზიციონერი დეპუტეტის სალომე სამადაშვილის შეკითხვის პასუხად განაცხადა.

თავის მხრივ სამადაშვილი დაინტერესდა, დააფრთხო თუ არა ინვესტორები და დააზარალა თუ არა ანაკლიის პორტი იმ ინფორმაციის გაჟონვამ, რომ არსებობს კონკურენტი პროექტი ფოთის პორტის სახით.

ნათია თურნავამ, სამადაშვილის პასუხად კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ფოთის პორტთან დაკავშირებით გაიცა მიწათსარგებლობის დოკუმენტი, რაც მშენებლობის დაწყების წინაპირობა არ არის და ეს დოკუმენტი გაუქმებულია.

„ანაკლიის პროექტს ვერავინ ვერ დააზიანებს, რადგან მას გვერდით სახელმწიფო უდგას“, - აღნიშნა ნათია თურნავამ.

მინისტრის პასუხი სალომე სამადაშვილისათვის არადამაკმაყოფილები აღმოჩნდა. დეპუტატმა თურნავას დღევანდელ მოხსენებას „სულელური პრეზენტაცია“ უწოდა.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 10.06 | | სამშაბათი 11.06 | | ოთხშაბათი 12.06 | | ხუთშაბათი 13.06 | | პარასკევი 14.06 | | შაბათი 15.06 | | კვირა 16.06 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 23 ° | 22 ° | 23 ° | 22 ° | 24 ° | 23 ° | 24 ° | 21 ° | 25 ° | 21 ° | 26 ° | 22 ° | 26 ° | 22 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.